ეს არის ეშმაკი, სახელად ხინზაბ. როცა მის არსებობას იგრძნობ, მიმართე ალლაჰს მის წინააღმდეგ დაცვისთვის და სამჯერ გადააფურთხე მარცხნივ

გადმოცემულია 'უსმან იბნ აბი ალ-'აასისგან (ალლაჰი იყოს მისი კმაყოფილი): "ერთხელ იგი მივიდა მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და უთხრა: "ო, ალლაჰის მოციქულო, ეშმაკი მიშლის ხელს ლოცვაში და ყურანის კითხვაში, რადგან ჩემს გონებას აბნევს". მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ეს არის ეშმაკი, სახელად ხინზაბ. როცა მის არსებობას იგრძნობ, მიმართე ალლაჰს მის წინააღმდეგ დაცვისთვის და სამჯერ გადააფურთხე მარცხნივ». 'უსმანმა თქვა: "ასე მოვიქეცი და ალლაჰმა ის ეშმაკი ჩემგან მოაშორა".

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

'უსმან იბნ აბულ-ასმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მივიდა მოციქულთან (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) და უთხრა: "ო, ალლაჰის მოციქულო, ეჭვგარეშეა, რომ შაიტანი დგება ჩემსა და ჩემს ლოცვას შორის (მიშლის ლოცვას), მიკარგავს სულიერ სიმშვიდეს მასში, მიშლის ყურანის კითხვაში და ეჭვებში მაგდებს, ამაზე ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: ეს შაიტანია, რომელსაც ხინზაბი ჰქვია. როდესაც მის ყოფნას იგრძნობ, ალლაჰს მიმართე დახმარებისთვის და სთხოვე მასგან დაცვა. სამჯერ ნელა გადააფურთხე მარცხნივ (მცირე ნერწყვით). 'უსმანმა თქვა: მე შევასრულე ის, რაც მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) მიბრძანა, და ალლაჰმა მომაშორა ის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65105